იმერეთის ბუნებათსარგებლობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ასპექტები

დიტო სირაძე

ელ-ფოსტა: dito.siradze634@ens.tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი 0179, საქართველო

იმერეთი საქართველოს ერთ ერთი ისტორიული მხარე მოიცავს ქვემო და ზემო იმერეთს, ტერიტორიას ძალზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მკაფიოდ გამოხატული ბუნებრივი საზღვრები გააჩნია. იგი ისაზღვრება ჩრდილოეთიდან-რაჭის, სამხრეთიდან- მესხეთს, აღმოსავლეთიდან- ლიხის ქედებით, ხოლო დასავლეთიდან- მდ.ცხენისწყლით.

იმერეთის მდებარეობა საერთაშორისო მასშტაბის საკომუნიკაციო მაგისტრალების გზაზე, მჭიდრო სატრანსპორტო კავშირები სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებთან ძალიან ხელშემწყობი ფაქტორია არა მარტო რეგიონის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარებისა, არამედ ეკონომიკური აღორძინების დასაჩქარებლად.

იმერეთის ტერიოტორიაზე გამოხატულია ვაკისა და მთის ლანდშაფტების შეთანწყობა. ლანდშაფტების ეკოლოგიური მდგომარეობა უკანასკნელ წლებში გაუარესდა. საკვლევ ტერიტორიაზე ბუნების დაცვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს წყლის სისუფთავის დაცვა და მის არაეკონომიურ ხარჯვასთან ბრძოლა. იმერეთის მხარის ტყის რესურსების მოვლა-დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით აუცილებელია რეგიონის მასივების კადასტრის შედგენა.

ბუნებათსარგებლობა შეგნებულად რეგულირებადი, ადამიანის მიზანმიმართული მოღვაწეობაა, რაციონალური ბუნებათსარგებლობა მოიცავს ბუნების დაცვას, ბუნებრივის რესურსების რეგიონალურ ათვისებას და ბუნების გარდაქმნას.

ბუნებათსარგებლობამ დღეს ისეთი ხასიათი და მასშტაბი მიიღო, რომ გარემოს კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ დღევანდელი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი იძლევა იმის შესაძლებლობას, მთლიანად იქნას გადაჭრილი ის მწვავე პრობლემები, რომლებიც ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაში თვით ამ პროგრესმა წარმოშვა.